თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 9 ივნისის სხდომის

# ო ქ მ ი N 3

2023 წლის 9 ივნისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ლიანა ბითაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, სალომე ოქრუაშვილი.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადება** (დანართი 2);
2. **ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის განხილვა** (დანართი 3);
3. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

**მოისმინეს:**

***1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადება*** (დანართი 2).

**ლავრენტი ჯანიაშვილმა** საბჭოს წევრებს აცნობა, რომ მიმდინარე წლის 12 ივლისს იწურება ინსტიტუტის მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადა და საჭიროა კონკურსის გამოცხადება. სამეცნიერო საბჭოს წევრებს ელექტრონულად გაეგზავნათ საკონკურსო განცხადების სამუშაო ვარიანტი. მან კოლეგებს სთხოვა წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლიანა ბითაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ლევან გორდეზიანმა.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი საკითხს, რომ დამტკიცდეს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე საკონკურსო განცხადების ტექსტი წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე საკონკურსო განცხადების ტექსტი წარმოდგენილი სახით (დანართი 2) და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

**მოისმინეს:**

*2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის განხილვა (დანართი 3).*

**ლავრენტი ჯანიაშვილმა** საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი და სთხოვა, წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები.

გაიმართა მსჯელობა **აზრი გამოთქვეს:** ალექსანდრე დაუშვილმა, ლიანა ბითაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ლევან გორდეზიანმა, სალომე ოქრუაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი საკითხს, რომ დამტკიცდეს ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

**მოისმინეს:**

*3. მიმდინარე საკითხები.*

გიორგი ჭეიშვილმა წარმოადგინა იტალიაში სამეცნიერო მივლინების მოკლე ანგარიში.

სხდომამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე საკონკურსო განცხადების ტექსტი (დანართი 2) და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.
2. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის შერჩევის წესი (დანართი 3).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

9. 06. 2023

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 9 ივნისის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

# განცხადება

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის* - დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში „ინსტიტუტი") დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ნოემბრის N140/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-6 მუხლით (უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები).

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად – 1 საშტატო ერთეული.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1 მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

**მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ

სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2 კონკურსანტს ასევე მოეთხოვება სამი ნაშრომის წარმოდგენა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მის სამეცნიერო პოტენციალს. ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენებზე. სხვა შემთხვევაში, ნაშრომს უნდა ახლდეს ქართული თარგმანი.

4.3 კონკურსანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ დაწესებულების, ან სტრუქტურული ერთეულის მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

ი) ცნობა ნასამართლობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის

ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

6. კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 13 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოოს 2023 წლის 26-28 ივნისს 11:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის კანცელარიაში (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2, კორპუსი 11 (ბიბლიოთეკის მიმდებარედ).
   სამეცნიერო საბჭოს (კომისიის) შემაჯამებელი ოქმი თსუ-ს აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 5 ივლისისა.

7. კონკურსის შედეგი ძალაში შედის ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.

# სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის* - დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი

## მუხლი 1. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის ორგანიზაციული საკითხები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერტიტეტი“ ან „თსუ“) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში - „ინსტიტუტი“) დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურას ატარებს და შერჩევის დღეს განსაზღვრავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.
2. შერჩევის პროცედურა ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

## მუხლი 2. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის გამოცხადება

1. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებას ადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. განცხადებაში აისახება დირექტორის კანდიდატურისათვის დადგენილი მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის სახეობები, მათი წარმოდგენის ადგილი, ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.
2. იმ შემთხვევაში თუ, სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურაში კანდიდატად 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის მქონე პირის მონაწილეობის დასაშვებობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებამდე 5 დღით ადრე მაინც.
3. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და ასევე წინამდებარე წესი საჯაროდ განთავსებას ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

## მუხლი 3. დირექტორისათვის დადგენილი მოთხოვნები

1. დირექტორობის კანდიდატად შეიძლება შერჩეული იქნეს და დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლით განსაზღვრულ და ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ნოემბრის N140/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის

N5 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-6 მუხლით (უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები).

2. კონკურსანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

**მუხლი 4. დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებების მიღების წესი**

1. დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი.
2. დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

ი) ცნობა ნასამართლობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ

დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

3. დირექტორობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განცხადების წარმომდგენი დაინტერესებული პირი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის გადასაცემად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლითა და დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

## მუხლი 5. დირექტორობის კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

1. დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კენჭისყრის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
2. სამეცნიერო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს. საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატებთან შეიძლება დაინიშნოს გასაუბრება.
3. კენჭისყრა დირექტორობის კანდიდატის შესარჩევად ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 14:00-15:00 სთ-მდე.
4. საჭიროების შემთხვევაში შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით კენჭისყრის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს.
5. სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს დირექტორობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.
6. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დირექტორობის კანდიდატად შერჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად შერჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერც ერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, დირექტორის

შერჩევის პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

7. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.
8. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

## მუხლი 6. შერჩევის შედეგების გამოცხადება

1. შერჩევის პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის შედეგები, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კორესპონდენციით, ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემდგომი რეაგირებისათვის.
2. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.

## მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესი ცნობისათვის ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციას.